წერილი რედაქციასთან

ჩვენში მეტად მსუბუქად უცქერიან მწერლის სახელს. მსუბუქადაო, იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩინ-მედლებს არ უძღვნის საზოგადოება მწერალს, ან არ აძლევს ღონეს ქონების მოპოვებისას. თუმც ეს უკანაასკნელი მსუბუქად ცქერის შედეგია. სიმსუბუქე მწერლის დაფასებისა სრულიად სხვაში მდგომარეობს:- ჩვენში მწერალს, ნიჭს(ტალანტს) ვერ იცნობენ, (იმათ აფასებენ მხოლოდ რჩეულნი, საზოგადოების მცირე წანილი. უმრავლესობას განა უნდა არ იცნოს მწერალი ან არ დააფასოს? მაგრამ არ ძალუძს და ამის გამო ბრალიც ეხდება თვიდამ.

მიზეზი მწერლის გაუგებრობისა სხვა არაფერი გახლავსთ, გარდა უმეცრებისა, უცოდინარობისა. აბა კარგად გამოიკვლიეთ, ვინ არიან გაზეთის მკითხველთა უმრავლესი ნაწილი, და დარწმუნდებით, რომ ორი წილი შინაურულად ანა-ბანაზე აღზრდილან. იმათ გარდა ქართულისა არაფერი წაუკითხავთ, უცხო მწერლობისა არაფერი ესმით, ხელოვნებისაც აგრეთვე, მწერლის დანიშნულებისა მით უმეტეს... თუმც კი ეს უკანასკნელნი მწერალს ენასაც უსწორებენ: მწერალს ეს სიტყვა უნდა ეხმარა ამ სიტყვის მაგივრად, ეს სიტყვა პოეზიაში სახმარებელი სიტყვა არააო,უდგენენ მოლექსეს საპოეზიო ლექსიკონს და რითმებს. ამას იქით არ გადააბიჯო, თორემ ვაი შენ ტყავსაო. ნუ დაივიწყებთ, რომ იმათ ქართული ენა მწერალზე უკედ არ იციან და ლინგვისტიკა-ფილოლოგიის სახელიც არ გაუგონიათ, განაღამც იმათი სახრავი ენახოთ.

მათი ქცევა, ვინც მწერალს ამგვარ დარიგებას აძლევს და წერის გეგმას აჩეჩებს ხელში, მომაგონებს ძველ კლასიკურს გემოვნებას -- ერთს ალაგას გაჩერებულს, დამპალ-დაობებულს.

საშუალ საუკუნეებში ჩვენშიაც, აგრეთვე მოქანდაკეთ დ მხატვართ საზოგადოების გემოვნებისაგან, ერთიდაიგივე ნირი ჰქონდათ მიცემული: მოქანდაკეთ და მხატვართ ადრევე იცოდნენ ნაქანდაკების ან ნახატისათვის ტანი როგორ დაეყენათ, ან ხელებისთვის რა მიმართულება მიეცათ. ნიჭი ამის გამო არტახებით და ბორკილებით შებოჭილი იყო. არა ჰქონდა სახსარი თავისუფლად მოძრაობისა, მაგრამ ბოლოს მაინც ისევე ნიჭმა შემუსრა ეს საზოგადოების გემოვნება, თვით ნიჭმა აღზარდა იგი სხვა წესზე, გაამტვრია ზღუდე სიჯიუტისა და თავისუფლად დაიწყო მოქმედება. აწ ჩვენც ვგემოვნებთ ნატოფსა მისსა.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

ქ.თბილისის 181-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ **გიორგი ბატიაშვილმა.**